# ადიგენის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

## I თავი.

### ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

| დასახელება | 2024 წლის გეგმა | | | 2024 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| I. შემოსავლები | 25 243.1 | 8 441.2 | 16 801.9 | 25 782.9 | 8 248.2 | 17 534.7 |
| გადასახადები | 15 667.9 | 0.0 | 15 667.9 | 16 344.9 | 0.0 | 16 344.9 |
| გრანტები | 8 634.5 | 8 441.2 | 193.3 | 8 441.5 | 8 248.2 | 193.3 |
| სხვა შემოსავლები | 940.7 | 0.0 | 940.7 | 996.6 | 0.0 | 996.6 |
| II. ხარჯები | 12 178.4 | 534.2 | 11 644.3 | 11 545.5 | 529.6 | 11 015.9 |
| შრომის ანაზღაურება | 2 737.9 | 0.0 | 2 737.9 | 2 659.7 | 0.0 | 2 659.7 |
| საქონელი და მომსახურება | 2 956.3 | 534.2 | 2 422.1 | 2 775.0 | 529.6 | 2 245.3 |
| პროცენტი | 21.0 | 0.0 | 21.0 | 10.9 | 0.0 | 10.9 |
| სუბსიდიები | 4 041.9 | 0.0 | 4 041.9 | 3 929.6 | 0.0 | 3 929.6 |
| გრანტები | 401.8 | 0.0 | 401.8 | 396.8 | 0.0 | 396.8 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 857.0 | 0.0 | 857.0 | 835.1 | 0.0 | 835.1 |
| სხვა ხარჯები | 1 162.5 | 0.0 | 1 162.5 | 938.5 | 0.0 | 938.5 |
| III. საოპერაციო სალდო | 13 064,6 | 7 907,0 | 5 157,6 | 14 237,4 | 7 718,5 | 6 518,8 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 15 689,9 | 8 160,8 | 7 529,2 | 13 917,4 | 7 614,5 | 6  302,9 |
| ზრდა | 16 574,5 | 8 160,8 | 8 413,7 | 14 805,4 | 7 614,5 | 7 190,8 |
| კლება | 884,5 | 0,0 | 884,5 | 888,0 | 0,0 | 888,0 |
| V. მთლიანი სალდო | - 2 625,3 | -253,7 | - 2 371,6 | 320,0 | 104,0 | 216,0 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | - 2 680,9 | -253,7 | - 2 427,2 | 264,4 | 104,0 | 160,4 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 264,4 | 104,0 | 160,4 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 264,4 | 104,0 | 160,4 |
| კლება | 2 680,9 | 253,7 | 2 427,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 2 680,9 | 253,7 | 2 427,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | -55,6 | 0,0 | -55,6 | -55,6 | 0,0 | -55,6 |
| კლება | 55,6 | 0,0 | 55,6 | 55,6 | 0,0 | 55,6 |
| საშინაო | 55,6 | 0,0 | 55,6 | 55,6 | 0,0 | 55,6 |
| სესხები | 55,6 | 0,0 | 55,6 | 55,6 | 0,0 | 55,6 |
| VIII. ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

| დასახელება | 2024 წლის გეგმა | | | 2024 წლის ფაქტი | | | შესრულების პროცენტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | **26 127.6** | **8 441.2** | **17 686.4** | **26 670.9** | **8 248.2** | **18 422.7** | **102,1** | **97,7** | **104.2** |
| შემოსავლები | 25 243,1 | 8 441,2 | 16 801,9 | 25 782,9 | 8 248,2 | 17 534,7 | **102,1** | **97,7** | **104,4** |
| არაფინანსური აქტივების კლება | 884,5 | 0,0 | 884,5 | 888,0 | 0,0 | 888,0 | **100,4** | **0,0** | **100,4** |
| **გადასახდელები** | **28 808,5** | **8 694,9** | **20 113,6** | **26 406,5** | **8 144,2** | **18 262,3** | **91,7** | **93,7** | **90,8** |
| ხარჯები | 12 178,4 | 534,2 | 11 644,3 | 11 545,5 | 529,6 | 11 015,9 | **94,8** | **99,1** | **94,6** |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 16 574,5 | 8 160,8 | 8 413,7 | 14 805,4 | 7 614,5 | 7 190,8 | **89,3** | **93.3** | **85,5** |
| ვალდებულებების კლება | 55,6 | 0,0 | 55,6 | 55,6 | 0,0 | 55,6 | **100,0** | **0.0** | **100.0** |
| **ნაშთის ცვლილება** | **-2 680,9** | **-253,7** | **-2 427,2** | **264,4** | **104,0** | **160,4** | | | |

### ა) საგადასახადო შემოსავლები

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **დამატებული ღირებულების გადასახადი** | **13 517,9** | **13 829,8** | **102,3** |
| **ქონების გადასახადი** | **2 150,0** | **2 515,1** | **117,0** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2 143,0 | 2 146,8 | **100,2** |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 3,0 | 42,2 | **1406,2** |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1,5 | 27,8 | **1854,2** |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 2,5 | 298,3 | **11931,0** |
| ***გადასახადები სულ*** | ***15 667,9*** | ***16 344,9*** | ***104,3*** |

### ბ) გრანტები

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებ ლა | 576,2 | 576,2 | **100,0** |
| კაპიტალური ტრანსფერი | 7 503,2 | 7501,8 | **99,9** |
| სპეციალური ტრანსფერი | 540,0 | 348,3 | **64,5** |
| მ.შ. მაღალმთიანი დასახლების ღონისძიებები | 412,0 | 412,0 | **100,0** |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 648,0 | 648,0 | **100,0** |
| უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები | 15,2 | 15,2 | **100,0** |
| ***გრანტები სულ*** | ***8 634,5*** | ***8 441,5*** | ***97,8*** |

| N | თანხა | გრანტის გამომყოფი | გრანტის სახე | გრანტის მიზნობრიობა | გრანტის გამოყოფის საფუძველი | გამოყოფის თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | 178,1 | ცენტრალური ხელისუფლება | მიზნობრივი ტრანსფერი | დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად | 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი | |
| **2** | 106,7 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | დაბა ადიგენში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია: (ბალახაშვილის, ერისთავის, ჭავჭავაძის, ზაზაშვილის, გიგოლაშვილის და წერეთლის ქუჩები) (I - II ეტაპი) | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **3** | 533,6 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სამყური ღორძის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **4** | 522,8 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | წახანი-ქიქინეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **5** | 602,5 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | ფლატე - არალის დამაკავშირებელი გზა (II ეტაპი) | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **6** | 927,0 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ უდეში მისასვლელი გზის და მდინარე ქვაბლიანზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია (I - II ეტაპი) | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **7** | 1 202,5 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ ვეხოვნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (I-II ეტა | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **8** | 789,0 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ უდის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჯანგიძის უბანი) | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **9** | 118,1 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ ოქრუთისა და ფხერის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **10** | 140,8 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ ქვემო ენთელში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **11** | 103,5 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ გორგულში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **12** | 93,4 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ დამალაში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **13** | 93,5 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფელ წახანწყაროში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **14** | 540,1 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანში (უბანი №1;№2;№3;№4;N5 ) შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2402 განკარგულება (რეგ.ფონდი) | 28.12.2023 წელი |
| **15** | 648,0 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის 2401 განკარგულება | 28.12.2023 წელი |
| **16** | 398.1 | ცენტრალური ხელისუფლება | მიზნობრივი ტრანსფერი | სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება | საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის 56 განკარგულება | 15.01.2024 წელი |
| **17** | 206.1 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | სამგზავრო ავტობუსების შესყიდვა | საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის 43 განკარგულება | 15.01.2024 წელი |
| **18** | 412.0 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნაფუძარი) | საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 აპრილის 550 განკარგულება | 19.04.2024 წელი |
| **19** | 203,7 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განსახორციელებლად | საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის 1025 განკარგულება | 23.07.2024 წ |

## გ) სხვა შემოსავლები

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **680,7** | **760,7** | 111,8 |
| პროცენტები | 230,0 | 250,3 | 108,8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| რენტა | 450,7 | 510,4 | 113,2 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **120,0** | **102,2** | 85,1 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 120,0 | 77,5 | 64,6 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 70,0 | 31,5 | 45,0 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 50,0 | 45,9 | 91,9 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 0,0 | 24,7 | |
| **სანქციები (ჯარიმები და საურავები)** | 140,0 | 92,8 | 66,3 |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ***სხვა შემოსავლები სულ*** | 940,7 | 996,6 | 105,9 |

დ) არაფინანსური აქტივების კლება

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | 504,1 | 504,1 | 100,0 |
| მატერიალური მარაგები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 380,5 | 383,9 | 100,9 |
| მიწა | 380,5 | 393,9 | 100,9 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **884,5** | **888,0** | **100,4** |

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 2 737,9 | 2 659,7 | 97,1 |
| საქონელი და მომსახურება | 2 956,3 | 2 775,0 | 93,9 |
| პროცენტები | 21,0 | 10,9 | 52,0 |
| სუბსიდიები | 4 041,9 | 3 929,6 | 97,2 |
| გრანტები | 401,8 | 396,8 | 98,8 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 857,0 | 835,1 | 97,4 |
| სხვა ხარჯები | 1 162,5 | 938,5 | 80,7 |
| ***ხარჯები სულ*** | **12 178,4** | **11 545,5** | **94,8** |

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | 16 574,5 | 14 805,4 | 89,3 |
| | | | |
| ***არაფინანსური აქტივების ზრდა*** | ***16 574,5*** | ***14 805,4*** | ***89,3*** |

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

| პროგრამული კოდი | დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 1 798,2 | 1 270,9 | 70,7 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 13 902,2 | 12 696,7 | 91,3 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2,7 | 2,7 | 100,0 |
| 04 00 | განათლება | 22,0 | 2,1 | 9,6 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 838,2 | 821,6 | 98,0 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 11,3 | 11,3 | 100,0 |

**ზ) ვალდებულებები**

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| საშინაო კრედიტორები | 55,6 | 55,6 | 100.00 |
| | | | |
| ***ვალდებულებების კლება*** | ***55,6*** | ***55,6*** | ***100.00*** |

ვალდებულებეის კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2026 წლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა და 100 ურნა) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2024 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 139,0 ათას ლარს, ხოლო 2025 წლის 1 იანვრისათვის 2025 წელს დასაფარი დავალიანება შეადგენს 83,4 ათას ლარს.

**თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა - 2 680,9 ათასი ლარის ოდენობით

**ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 264,4 ათასი ლარი**

(ათას ლარებში)

**ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები**

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 2 782,5 ათასი ლარი

| დასახელება | თანხა |
|---|---|
| საქართველოს მთავრობის 301 განკარგულება 09.02.2023წ მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი | 6,1 |
| საქართველოს მთავრობის 2400 განკარგულება 28.12.2023წ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო | 8,7 |
| საქართველოს მთავრობის 2475 განკარგულება 29.12.2022წ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 109,7 |
| საქართველოს მთავრობის 2476 განკარგულება 29.12.2022წ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 29,6 |
| საქართველოს მთავრობის 147 განკარგულება 23.01.2023წ (სკოლების ინფრასტრუქტურა) | 4,2 |
| საქართველოს მთავრობის 277 განკარგულება 15.02.2022წ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1,4 |
| საქართველოს მთავრობის 75 განკარგულება 17.01.2022წ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 10,9 |

| | |
|---|---|
| საქართველოს მთავრობის 51 განკარგულება 14.01.2022წ (სკოლების ინფრასტრუქტურა) | 3,7 |
| საქართველოს მთავრობის 147 განკარგულება 04.02.2021წ (სკოლების ინფრასტრუქტურა) | 5,9 |
| საქართველოს მთავრობის 2685 განკარგულება 31.12.2020წ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 81,3 |
| საქართველოს მთავრობის 27 განკარგულება 09.01.2020წ (სკოლების ინფრასტრუქტურა) | 6,1 |
| საქართველოს მთავრობის 215 განკარგულება 12.02.2019წ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო | 1,4 |
| საქართველოს მთავრობის 13 განკარგულება 18.01.2019წ (სკოლების ინფრასტრუქტურა) | 1,7 |
| საქართველოს მთავრობის 1394 განკარგულება 06.07.2017წ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო | 7,0 |
| საქართველოს პრემიერმინისტრის ბრძანება 234; 30.08.2017წ მთავრობის სარეზერვო ფონდი | 8,0 |
| საქართველოს მთავრობის 2401 განკარგულება 28.12.2023წ სოფლის მხარდამჭერის პროგრამა | 4,1 |
| საქართველოს მთავრობის 2402 განკარგულება 28.12.2023წ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 154,9 |
| საქართველოს მთავრობის 550 განკარგულება 19.04.2024წ | 10,3 |
| ადგილობრივი ბიუჯეტით დაკავებული გარდამავალი პროექტები | 1384,8 |
| თავისუფალი ნაშთი | 1207,1 |
| **სულ 01.01.2025 წლის მდგომარეობით ნაშთი** | **3 046,9** |

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | **2024 წლის გეგმა** | **2024 წლის ფაქტი** | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 6 486.2 | 5 553.2 | 85.6 |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 6 409.6 | 5 486.7 | 85.6 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 6 259.6 | 5 486.7 | 87.7 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 150.0 | 0.0 | 0.0 |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 76.6 | 66.5 | 86.8 |
| **7.2** | თავდაცვა | **0.0** | **0.0** | 0.0 |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **7.4** | ეკონომიკური საქმიანობა | **14 332.8** | **13 164.6** | 91.8 |
| 7.4 2 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7.4 2 1 | სოფლის მეურნეობა | **0.0** | 0.0 | 0.0 |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 9 800.6 | 9 111.2 | 93.0 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 9 800.6 | 9 111.2 | 93.0 |
| 7.4.9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 4 502.1 | 4 023.4 | 89.4 |
| **7.5** | გარემოს დაცვა | **1 245.1** | **1 180.1** | 94.8 |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 1 201.6 | 1 148.7 | 95.6 |
| 7.5 2 | ჩამდინარე წყლების მართვა | 33,5 | 25,5 | 76,2 |
| 7.6 | საბინაო კომუნალური მეურნეობა | **1 219,1** | **1 118,4** | 91,7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 582,2 | 531,1 | 91,2 |
| 7.6 4 | გარე განათება | 636,9 | 587,3 | 92,2 |
| 7.6 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7.7 | **ჯანმრთელობის დაცვა** | **179,9** | **179,2** | 99,6 |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 179,9 | 179,2 | 99,6 |
| 7.8 | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **2 692,0** | **2 647,0** | 98,3 |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 743,1 | 717,3 | 96,5 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 973,9 | 966,6 | 99,2 |
| 7.8 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიაობა დასვნების, კულტურისა და რელიგიი სფეროში | 975,0 | 963,2 | 98,8 |
| 7.9 | **განათლება** | **1 792,0** | **1 721,2** | 96,0 |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 1 384,1 | 1 325,2 | 95,7 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7.9 8 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 407,9 | 396, | 97,1 |
| 7 10 | **სოციალური დაცვა** | **860,5** | **842,8** | 97,9 |
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 550,5 | 554,7 | 98,9 |
| 7 10 2 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7 10 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 122,4 | 112,7 | 92,1 |
| 7 10 7 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 187,6 | 185,3 | 98,8 |
| | სულ | **28 808,5** | **26 406,5** | 91,7 |

## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 26 406,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 808,5) 91,7 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 4 061,1 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის - 8 763,0 ათასი ლარით.




**პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სრტრუქურა შემდეგია:**

| ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| **პროგ. კოდი** | **დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა** | **2024 ფაქტი** | **%** |
| **სულ** | **მუნიციპალიტეტის ასიგნებები** | **26 406,5** | **100.0** |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 5 553,2 | 21,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 14 284,5 | 54,1 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1 148,7 | 4,4 |
| 04 00 | განათლება | 1 721,2 | 6,5 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 2 677,0 | 10,1 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 021,9 | 3,9 |




**1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)**

**საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5 553,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6 486,2 ათასი ლარი) 85,6 პროცენტია.**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1 213,4 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4 273,3 ათასი ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-150,0 ათასი ლარი) აღნიშნული ქვეპროგრამიდან ხარჯვა არ განხორციელებულა.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი იქნა სულ 66,5 ათასი ლარი, აღნიშნული თანხით დაფინანსდა სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხი მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 55,6 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 10,9 ათასი ლარი.

**2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14 284,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 91,8 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **15 565,3** | **14 284,5** | **91,8** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 9 800,6 | 9 111,2 | 93,0 |
| 02 01 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და მიმდინარე შეკეთება | 235,5 | 217,9 | 92,5 |
| 02 01 02 | გზების რეაბილიტაცია მშენებლობა | 9 556,9 | 8 886,6 | 93,0 |
| 02 01 03 | ხიდების რეაბილიტაცია მშენებლობა | 8,2 | 6,7 | 81,5 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2 112,5 | 1 767,3 | 83,7 |
| 02 02 01 | წყლის სისტემების რეაბიიტაცია-ექსპლოატაცია | 156,6 | 105,8 | 67,5 |
| 02 02 02 | საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია | 33,5 | 25,5 | 76,2 |
| 02 02 03 | ა(ა)იპ ადიგენის წყალმომარაგება | 425,6 | 425,3 | 99,9 |
| 02 02 04 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 636,9 | 587,3 | 92,2 |
| 02 02 05 | სარწყავი არხების, ნაპისამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია | 256,8 | 253,7 | 98,8 |
| 02 02 06 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები | 572,1 | 339,6 | 59,4 |
| 02 02 07 | შენობა ნაგებობების გამრიცხველიანება | 31,0 | 30,1 | 97,0 |
| 02 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონიძიებები | 2 592,1 | 2 369,6 | 91,4 |
| 02 03 01 | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება გამაგრება | 849,9 | 806,5 | 94,9 |
| 02 03 02 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი | 612,1 | 484,6 | 79,2 |
| 02 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები | 1 130,1 | 1 078,5 | 95,4 |
| 02 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 1 050,1 | 1 030,3 | 98,1 |
| 02 04 01 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1 050,1 | 1 030,3 | 98,1 |
| 02 05 | უმეთვალყურეოდ დარჩენილ ძაღლთა პოპულაცია | 10,0 | 6,0 | 60,0 |

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებულ დაბებში საცხოვრებელ უბნებში ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა საასმელი წყლის სისტემების მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)** დაზუსტებული გეგმა - 9 800.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 9 111.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93%; 2024 წლის განმავლობაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში და დაბებში დაიგო **17600** გრძ/მ გზის საფარი, მოეწყო, 384 გრ/მ გაბიონი და ფერდის გასამაგრებელი, საერთო ჯამში 9799 ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

**სოფელ ქიქინეთში და საღრძეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოები** - სოფელ ქიქინეთში მოიხრეშა სასაფლაოსთან მისასვლელი 800 გრძ.მ გზის საფარი. ხოლო სოფელ საღრძეში 330 გრძ.მ გრუნტის სანიაღვრე არხით სიგრძით 200 გრძ.მ.

**სოფელ შოყაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოები** - მოიხრეშა სასაფლაოსთან მისასვლელი 1200 გრძ.მ გზის საფარი, ასევე დაიგო 6 გრძ.მ რკ/ბეტონის ფილა მთის ღელის ნაკადის გადასატარებლად.

**ადიგენში, არალში და იჯარეთში საუბნო გზებზე დამცავი ბარიერების მოწყობის სამუშაოები** - სოფელ ადიგენში ჯამში მოეწყო 42 გრძ.მ. სოფელ არალში 26 გრძ.მეტრი; სოფელ იჯარეთში მოეწყო 30გრძ.მეტრი გზის დამცავი ბარიერიერები, ლითონის მილკვადრატებით.

**დაბა ადიგენში თორნიკე ერისთავის ქუჩზე სანიაღვრე არხის მოწყობა** - 133,5 მეტრზე მოეწყო ანაკრები რკ/ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხი, ლითონის ცხაურებით, წყალმიმღები ჭით.

**სოფელ ბოლაჯურში გზის მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხზე ცხაურის მოწყობის სამუშაოები** - სოფელ ბოლაჯურში არსებულ ბეტონის ღია სანიაღვრე არხზე მოეწყო 23 ცალი ლითონის ცხაური, ჯამში 46 გრძ.მ.

**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქურდევში სასაფლაოსთან მისასვლელი გზისა და სოფელ ნამინაურში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები** - სოფელ ნაქურდევში 129 გრძ.მეტრზე და სოფელ ნამინაურში 67 გრძ.მეტრზე მოეწყო რკ/ბეტონის გზის საფარი გვერდულებით.

**სოფ. არლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ე.წ. ახალი დასახლება) (II ეტაპი) სამუშაოები** - მოეწყო 642 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელებით, ცხაურებით, გვერდულებით.

**სოფელ უდის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის (ჯანგიზას უბანი) სამუშაოები** - მოეწყო 1640 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, მიერთებებით, ეზოში შესასვლელებით, ცხაურებით, გვერდულებით.

**სოფელ უდეში მისასვლელი გზის და მდინარე ქვაბლიანზე არსებული ხიდის რეაბილიტაციის (I - II ეტაპი) სამუშაოები** - მოეწყო 1846 გრძ.მ ასფალტის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, გვერდულებით.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების ფლატე-არზნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის (II ეტაპი) - მოეწყო 1654 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, გვერდულებით.

**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხოვნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (I-II ეტაპი)** - მოეწყო 1757 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, მიერთებებით, ეზოში შესასვლელებით, მილხიდებით, გვერდულებით.

**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების: სამყური ღორძის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)** - მოეწყო 1193 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, გვერდულებით.

**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების: წახანი-ქიქინეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)** - მოეწყო 1600 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ შოლავერში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები** - მოეწყო 672 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფ. ბოლაჯურში და სოფელ არლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები** - სოფელ ბოლაჯურში მოეწყო 425 გრძ.მ და სოფელ არალში 800 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**გზის მიმდებარედ დაბა ადიგენში საყვავილე გაზონის ბორდიურის, მეორე ადმინისტრაციულ შენობასთან ასასვლელი კიბის და ბალახაშვილის ქუჩის N3-თან ღობის მოწყობის სამუშაოები** - პროექტის ფარგლებში მოეწყო თამარ მეფის ქუჩაზე N1 ის მიმდებარედ სიგრძით 80 მ და თორნიკე ერისთავის N20 -ის მიმდებარედ 160 მ. ბეტონის ბორდიურები, ნაწილობრივ რეაბილიტაცია ჩაუტარდა მეორე ადმინისტრაციულ შენობასთან ასასვლელი კიბეს და მოაჯირს, ხოლო ბალახაშვილის ქუჩის #3 -ის მიმდებარედ წერტილოვან ბეტონის საფუძველზე ლითონის მილკვადრატებით მოხდა ღობის მოწყობა სიგრძით 92 გრძ.მ.

**დაბა ადიგენში თამარ მეფის ქუჩაზე ანაკრები რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობის სამუშაოები** -მოეწყო 81 გრძ.მ ანაკრები რკ.ბეტონის კიუვეტებით სანიაღვრე არხი, ლითონის ცხაურებით.

**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის შიდა საუბნო გზის (ნაფუძარი) რეაბილიტაციის სამუშაოები-** მოეწყო 838 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**დაბა ადიგენში, სოფელ უდეში და ბოლაჯურში გზის მიმდებარედ ლითონის ცხაურის მოწყობის სამუშაოები** - ჯამში მოხდა 46 ცალი ლითონის ცხაურის შესყიდვა და შესაბმის სოფლებში გადანაწილება.

**სოფელ იჯარეთისა და ფხეროს შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია** - სოფელ იჯარეთში მოეწყო 210 გრძ.მ და სოფელ ფხეროში 160 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ ბოლაჯურში რიტუალების სახლისკენ მიმავალი შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია** - სოფელ ბოლაჯურში მოეწყო 250 გრძ.მ გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ ადიგენში, ლელოვანში, დიდი ზანავში და გომაროში შიდა საუბნო გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები** - სოფელ ადიგენში მოეწყო 226 გრძ.მ; სოფელ ლელოვანში ორ მონაკვეთზე მოეწყო 102+205=307 გრძ.მ; დიდ ზანავში 80გრძ.მ და გომაროში 104 გრძ.მ რკ.ბეტონის გზის საფარი ეზოში შესასვლელებით, სანიღვრე არხებით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ წახანწყაროში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა** - სოფელ წახანწყაროში მოეწყო 433 გრძ.მ გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ ვარხანში საუბნო გზის ქვედა საყრდენი (გაბიონის) კედლის მოწყობის სამუშაოები** - სოფელ ვარხანში საუბნო გზის ფერდის გასამაგებლად მოეწყო 30 გრძ.მ გაბიონის კედელი 3 რიგად.

**სოფელ გორგულში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა** - სოფელ გორგულში მოეწყო 478 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, მილხიდებით, გვერდულებით.

**სოფელ დიდ სმადაში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა** - სოფელ დიდ სმადაში მოეწყო 166 გრძ.მ გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ უდეში შიდა საუბნო გზის ოთხ მონაკვეთზე (ნაფუძარი) დამცავი ბარიერის მოწყობა** - სოფელ უდეში ლითონის მილკვადრატებით 4 მონაკვეთზე, ჯამში 100გრძ.მ-ზე მოეწყო დამცავი ბარიერები.

**სოფელ ქვემო ენთელში შიდა საუბნო ბეტონის გზის მოწყობა**- სოფელ ქვემო ენთელში მოეწყო 482 გრძ.მ გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ ბოლაჯურში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის საფარის (მოხრეშვა)** - სოფელ ბოლაჯურში მოიხრეშა სასაფლაოსტან მისასვლელი გზის საფარი ჯამში 114 გრძ.მ.

**სოფელ ბოლაჯურში გზაზე დამცავი ბარიერის მოწყობა** - სოფელ ბოლაჯურში სასაფლაოს გზის მიმდებარედ ლითონის მილკვადრატებით მოეწყო დამცავი ბარიერები 30 გრძ.მ.

**სოფელ არზნეში მისასვლელი გზის ორ მონაკვეთზე დამცავი ბარიერის მოწყობის სამუშაოები** - სოფელ არზნეში მისასვლელი გზის ორ მონაკვეთზე, ლითონის მილკვადრატებით მოეწყო დამცავი ბარიერები საერთო ჯამში 100 გრძ.მ

**სოფელ ადიგენში დაზიანებულ საუბნო გზის ბეტონის საფარის მოწყობა** - სოფელ ადიგენში მოხდა დაზიანებული საუბნო გზის საფარის აღდგენა რკინა/ბეტონის ფილით, ჯამში 143კვ.მ.

**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანში შიდა საუბნო ბეტონი გზის მოწყობის სამუშაოები (I-II ეტაპი** - სოფელ ვარხანში მოეწყო 1441 გრძ.მ რკ/ბეტონის გზის საფარი, სანიაღვრე არხებით, ეზოში შესასვლელბით, მიერთებებით, გვერდულებით.

**სოფელ ქიქინეთში (მეჩეთის მიმდებარედ) დამცავი ბარიერის მოწყობის სამუშაოები** - სოფელ ქიქინეთში (მეჩეთის მიმდებარედ) ლითონის მილკვადრატებით მოეწყო დამცავი ბარიერები 26 გრძ.მ.

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2023 საბაზისო მაჩვენებელი | 2024 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2024 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომილების განმარტება |
| გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა სამუშაოები გრ/მ | 15568 | 18310 | 17600 | 710 | |
| ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთება | 8571 | 9799 | 9799 | 0 | |

**ბ) ხიდების რეაბილიტაცია მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 01 03**) დაზუსტებული გეგმა - 8,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 81,5%; ქვეპორგრამის ფარგლებში მოხდა დაბა ადიგენში მდინარე ქვაბლიანზე საფეხმავლო დაკიდული ხიდის სავალი ნაწილის და მოაჯირების დაზიანებული ხე-მასალის შეცვლა-განახლება.

**ბ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ძველი დაზიანებული სასმელი წყლის მილების შეცლა ახალი პლასტმასის მილებით, სოფლებში წყლის მილების შესაცვლელად შესყიდული იქნა პოლიეთილენის მილები.
განხორციელდა შემდეგი სახის პროექტი

**სოფელ იმერთუბანის სასმელი წყლის ორ უბანზე გამანაწილებელის(რეზერვუარის) და სასმელი წყლის წყალშემკრები კაპტაჟის მოწყობის სამუშაოები:** პროექტის ფარგლებში მოეწყო სოფელ იმერთუბნის სასმელი წყლის ახალი სათვე ნაგებობა, ე.წ ,,კაპტაჟი" რკ.ბეტონით, ასევე სოფელში ორი უბისათვის მოეწყო ახალი საუბნო გამანაწილებელი.

**გ) საკანალიზაციო სისტემები რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაბა ადიგენში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები მოეწყო ახალი საკანალიზაციო ქსელი პლასტმასის მილებით 276 გრძ,მ-ზე, ასევე მოეწყო ანაკრები საკანალიზაციო ჭის რგოლები ჯამში 12 ცალი.

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2023 საბაზისო მაჩვენებელი | 2024 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2024 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომილების განმარტება |
| მოწყობილი საკანალიზაციო ქსელი (გრ/მ) | 210 | 276 | 276 | | |

**დ) ა(ა)იპ ადიგენის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 02 02 03)** პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყალი მიეწოდება 52 სოფელს
სოფელი უნწა, სოფელი შოლავერი: კურცხანიდან მომავალი სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია.
კურცხანის ხეობა: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
სოფელი ხევაშენი: სასმელი წყლის ცენტრალურ გამანაწილებელზე, აღდგენითი შედუღებითი სამუშაოები:
დაბა ადიგენი: თორნიკე ერისთავის ქუჩაზე არსებულ სავაჭრო ცენტრში (ბაზარში) სასმელი წყლის შეყვანა:
სოფელი უდე: ხანდაკის მიმართულებით, გადაიჭრა ბეტონის გზის საფარი, სასმელი წყლის დაზიანებული ადგილის აღმოსაფხვრელად
სოფელი ვარხანი: ე/წ ქვედა ვარხნის სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ვარხანი: ე/წ ქვედა ვარხნის სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე მშენებარე ხიდზე შემოვლითი სამუშაოები:
სოფელი ვარხანი: ე/წ ზედა ვარხნის სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისსტრალზე, დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია.
სოფელი უნწა: სასმელი წყლის ცენტრალურ გამანაწილებელზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ვარხანი: ე/წ ზედა მაგისტრალზე, სასმელი წყლის 130 მეტრიანი მონაკვეთზე ლითონის მილის ჩანაცვლება, პლასტმასისი მილით:

სოფელი უდე: 2 ლოკაციაზე, პირდაპირებსა და მეიდნების მიმართულებით, დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოები:

სოფელი ვარხანი: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, 70-მეტრიანი ლითონის მილის შეცვლა პლასტმასისი მილით:
სოფელი აბასთუმანი: სასმელი წყლის ცენრალურ მაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია:
სოფელი უნწა: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია:

კურცხანას ხეობა: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია:
სოფელი ბენარა: სასმელი წყლის კურცხანიდან მომდინარე 75-იანი მაგისტრალზე, მდინარეში, დაზიანებული ადგილის სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ვარხანი: სასმელი წყლის საუბნო მაგისტრალზე სარეაბილიტაციო სამუშაოები:
კურცხანის ხეობა: სათავე ნაგებობის, უხვი ნალექისგან შემოტანილი ქვა-ღორღისგან გაწმენდა გასუფთავება:
სოფელი შოლავერი: კურცხანის სამსელი წყლის მაგისტრალზე, ე/წ დამცლელი ,,წნევის დამგდების" გაწმენდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ღორძე: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, დაერთებითი სამუშაოები:
სოფელი ფლატე: სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, დათვალიერება შესწავლა:
კურცხანას ხეობა: სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, უხვი ნალექისგან შეტანილი, ქვა-ღორღისგან გაწმენდა გასუფთავება:
სოფელი უდე: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, ხევში ჩავარდნილი 40 მეტრიანი მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები:
სოფელი უდე: სასმელი წყლის, ცენტრალურ 300 კომლიან გამანაწილებელზე, ,,ფოცხზე" შემშვები ურდულის ე/წ ზადუშკის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები:
დაბა ადიგენი: მერიის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოებში, შემსვლელი წყლის მაგისტრალზე აღდგენითი სამუშაოები:
კურცხანას ხეობა: სოფელ აბასთუმნიდან, საცალფეხო ხიდის დემონტაჟი და კურცხანის, სათავე ნაგებობაზე მონტაჟი:

სოფელი ვარხანი: სასმელი წყლის საუბნო განშტოებაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ბოლაჯური: წყალსატუმბ სადგურზე, შემსვლელი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები და წყლის შეშვება:
ფერსათის მთა: ე/წ ცხრაწყაროს სასმელი წყლის, დამატებითი სამუშაოები:
სოფელი შოლავერი: სასმელი წყლის მაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია.
სოფელი ვარხანი: ე/წ ცენტრალურ ზედა მაგისტრალზე, მდინარეში დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა რეაბილიტაცია.

სოფელი პატარა სმადა: წყასატუმბ სადგურზე სარწყავი წყლის მაგისტრალზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ბოლაჯური: წყასატუმბ სადგურზე სარწყავი წყლის მაგისტრალზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი წარბასთუმანი: სარწყავი წყლის, არხზე ე/წ დუკერის მილების, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
დაბა ადიგენი: ერთ-ერთ უბანში, ასფალტის მჭრელით შესრულებული სამუშაოები:
სოფელი წახანი: სასმელი წყლის, ცენტრალურ მაგისტრალზე სამშენებლო სამუშაოები:

სოფელი ადიგენი: სასმელი წყლის ე/წ შოშხოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაზიანებული ადგილის სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი არალი: ე/წ ჩხრიალოს მიმართულებით, სასმელი წყლის 15 მეტრიანი მონაკვეთზე, სარებილიტაციო სამუშაოები:
თრიალას ტბა: სარწყავი წყლის არხებზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ხევაშენი: სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე, 20 მეტრიან მონაკვეთზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი ადიგენი: სასმელი წყლის ე/წ შოშხოთის მიმართულებით, 15 მეტრიან მონაკვეთზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები:
სოფელი აბასთუმანი, სასმელი წყლის საუბნოგანშტოებაზე დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია.
სოფელი ვარხანი, სასმელი წყლის, საუბნოგანშტოების ფუცხზე სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი ფლატე, სასმელი წყლის შემშვები მილის, გაწმენდა გასუფთავება.
სოფელი ხევაშენი, სასმელი წყლის ცენტრალურმაგისტრალზე სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი ფლატე, სასმელი წყლის გამანაწილებელზე შეერთება.
სოფელი ვარხანი, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის გაჭრის სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი ვარხანი, სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალზე 200 მეტრიანი მონაკვეთის შეცვლა.
სოფელი ვარხანი, სასმელი წყლის მაგისტრალზე, 200 მეტრიანი მონაკვეთის შეცვლა.
სოფელი უდე, ე/წ ჩხრიალის სასმელი წყლის, გამანაწილებელზე სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი ვარხანი, სასმელი წყლის კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი არალი, ე/წ ირმიჭალის მიმართულებითსასმელი წყლის მაგისტრალზე სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი არალი, სასმელი წყლის, ცენტრალურმაგისტრალზე, შიდა ქსელის სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი ვარხანი, სასმელი წყლის, შიდა სტანდარტულმაგისტრალზე, სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი ვარხანი, სასმელი წყლის შიდა ქსელის 100 მეტრიანი მონაკვეთის შეცვლა.
სოფელი ბოლაჯური, სასმელი წყლის რეზერვუარზე, შემომსვლელმაგისტრალზე, 50 მეტრიანი მონაკვეთის შეცვლა.
სოფელი ვარხანი, ე/წ საბზარის უბანში, სასმელი წყლის, ახალი გამანაწილებლის მიტანა 230 მეტრიან DEM დიამეტრზე პლასტმასის მილის ჩადება.
კურცხანას სათავე, სასმელი წყლის შემომსვლელი ფარის გაწმენდა გასუფთავება.
სოფელი ვარხანი, ერთერთმოსახლის ეზოში სასმელი წყლის მაგისტრალზე,
დაზიანებულადგილზე სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სოფელი ვარხანი, სასმელი წყლის მაგისტრალზე, დაზიანებულადგილის რებილიტაცია.
სოფელი არალი, ცენტრალური ტრასის გადაჭრა და სარეაბილიტაციოსამუშაოები.
სასმელი წყლის ცენტრალურმაგისტრალზე სარეაბილიტაციოსამუშაოებო
სოფელი ქვემოენთელი, სასმელი წყლის საუბნოფუცხის აწყობა.
სოფელი ვარხანი, ერთერთმოსახლის ეზოში, სასმელი წყლის ცენტრალურმაგისტრალზე, დაზიანებული ადგილის რეაბილიტაცია.

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბოლოოშედეგი (OUTCOME) | 2022 საბაზისო მაჩვენებელი | 2023 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2023 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომილების განმარტება |
| რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემები (სალექარები და ცხაურები | 52 | 54 | 54 | 0 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სარწყავი არხების სიგრძე გ/მ | 37000 | 43000 | 38000 | 7000 | |
| სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალების სიგრძე- | 30000გ/მ | 310000 | 31000 | 4000 | |
| გასარწყავებული ფართობის რაოდენობა | 3400-(ჰა) | 5000 | 3500 | 7000 | |

**ე) გარე განატების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების წერტილების (ქუჩებზე, მოედნებზე, შენეობა-ნაგებობებზე, სოფლებში) ელექტორ ენერგიის საფასურის დაფარვა, გარე განათების ახალი სისტემის მოწყობა სულ 2024 წლის განმავლობაში მოეწყო 279 გარე განათების ბოძი და 572 ცალი LED პროჟექტორი.

განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები:

**სოფელ დიდ სმადაში და ქვემო ენთელში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები** - სოფელ დიდ სმადაში მოეწყო ახალი 5 ცალი გარე განათების ბოძი; ქვემო ენთელში მოეწყო ახალი 51 ცალი გარე განათების ბოძი.

**დაბა ადიგენში არტემ ბალახაშვილის, თამარ მეფის და ვაჟა-ფშაველას ქუჩებზე არსებული საყრდენი კედლების განათების მოწყობის სამუშაოები** - ლითონის მილკვდრატებით დამონტაჟდა 10 ვტ სიმძლავრის 572 ცალი LED პროჟექტორი.

**დაბა ადიგენში (ჩადუნელის ქუჩა), სოფელ ადიგენში, იმერთუბანში, ჩორჩანში, დიდ სმადაში, პატარა სმადაში, ბოლაჯურში, ფხეროში, ზემო ენთელში, ლელოვანში და სამყურში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები** - პროექტის ფარგლებში მოეწყო: სოფელი ადიგენი 2 ცალი; დაბა ადიგენი (ჩადუნელის ქუჩა) 4 ცალი; სოფელი იმერთუბანი 3 ცალი; სოფელი ჩორჩანი 3 ცალი; სოფელი დიდი სმადა 4 ცალი; სოფელი პატარა სმადა 10 ცალი; სოფელი ბოლაჯური 6 ცალი; სოფელი ფხერო 4 ცალი; სოფელი ზემო ენთელი 3 ცალი; სოფელი ლელოვანი 2 ცალი და სოფელი სამყური 5 ცალი ახალი გარე განათების ანძა, სხვადასხვა დიამეტრის ლითონის მილებით.

**სოფელ უდეში ე.წ „ზაზათუბნის" გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები** - მოეწყო ახალი 60 ცალი გარე განათების ანძა ლითონის მილებით.

**დაბა ადიგენში არტემ ბალახაშვილის ქუჩის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები** - მოეწყო ახალი 22 ცალი გარე განათების ანძა ლითონის მილებით.

**სოფელ უდეში ე.წ „პეტატ უბანში" გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები** - მოეწყო ახალი 42 ცალი გარე განაღების ანძა ლითონის მილებით.

**სოფელ ნამინაურში, ციხისუბანში და მოხეში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები** - პროექტის ფარგლებში მოეწყო: სოფელი ნამინაური 7 ცალი; სოფელი ციხისუბანი 4 ცალი; სოფელი მოხე 3 ცალი გარე განათების ანძა ლითონის მილებით.

**სოფელ უდეში ე.წ ,,ხანდაკას უბნის" გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები** - მოეწყო ახალი 42 ცალი გარე განათების ანძა ლითონის მილებით.

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2023 საბაზისო მაჩვენებელი | 2024 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2024 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომილების განმარტება |
| მუნიციპალიტეტში განათებული წერტილების რაოდენობა რომელთა ექსპლოატაცია მოვლა-შენახვა ხორციელდება | 2234 | 3085 | 3085 | 0 | |
| წლის განმავლობაში დამონტაჟებული ახალი ქსელი (სანათი წერტილი) | 134 | 851 | 851 | 0 | |

**ვ) სარწყავი ახრების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია (02 02 05)** ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 256,8 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 253,7 ათასი ლარი ანუ გეგმის - 98,8 %. ქვეპორგრამის ფარგლებში განხორციელდა:

სოფელ ბოლაჯურის წყალსატუმბის მაღალი ძაბვის ქსელის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ფარგლებშო მოეწყო ახალი მაღალი ძაბვის ელექტოგადამცემი ხაზი სიგრძით 4851 გრძ.მ. დამონტაჟდა ახალი მაღალი ძაბვის ბეტონის დგარები 37 ცალი.

სოფელ პატარა სმადის სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები - პროეტის ფარგლებში მოეწყო ახალი წყალმიმღები და გამშვები ფარი, მოხდა არსებული ტუმბო-აგრეგატის მოტაჟი შესაბამისი აქსესუარების გათვალისწინებით. მოწესრიგდა შიდა და გარე ელექტროობა.

სოფელ არალში სანიაღვრე მილსადენზე დამატებით სალექარ- სათვალთვალო ჭების მოწყობის სამუშაოები - სოფელ არალში (სკოლის ეზოში) გაიწმინდა 86 მ სიგრძის სანიაღვრე მილსადენი და მოეწყოს ორი ახალი სალექარი სათვალთვალო ჭა.

**შუალედური შედეგი** რეაბიილტირებული სარწყავი არხებით მორწყული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

**ზ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი ( 02 02 06)** აღნიშნულ ქვეპროგრამაზე გეგმა განსაზღვრული იყო 572,1 ათასი ლარით თუმცა ხარჯვა განხორციელდა 339,6 აღნიშნულ პროგრამულ კოდზე გათვალისწინებული იყო საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 დეკემბრის N1785 განკარგულების საფუძველზე „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი იქნა დამატებით თანხა 160,0 ათასი ლარი ვინაიდან 2024 წელს ვერ მოესწრო აღნიშნული თანხის ათვისება შესაბამისად პროგრამის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%.

ქვეპორგრამის ფარგლებში განხორციელდა: სოფ უნწაში მდინარე ოცხეზე არსებული ხიდის მიმდებარედ სტიქიის შედეგად დანგრეული გაბიონების ნაცვლად რკ/ბეტონის ნაპირსამაგრი კედლისა და სოფელ ვარხანში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - სოფელ უნწაში მოეწყო ახალი რკ.ბეტონის ნაპირსამაგრი საყრდენი კედელი სიგრძით 26გრძ.მ. საშუალო სიმაღლე 4მ. სოფელ ვარხანში არსებული გრუნტის საფარიანი შიდასაუბნო გზის (ქუჩის) გასწვრივ მოეწყო მონოლითური რკ. ბეტონის ოთხკუთხა (40x40 სმ) კვეთის კიუვეტი 105 გრძ.მ.
სოფელ ზენარაში ხევის მარცხენა მხარეს სტიქიის შედეგად დაზიანებული გაბიონების რეაბილიტაციის სამუშაოები - მოხდა დაზიანებული გაბიონის ხელახლა მოწყობა სიგრძით 33 გრძ.მ.
სოფ უდეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ბეტონის გზის გვერდულისა და გზის მიმდებარედ სანიაღვრე არხის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები - მოხდა დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენა მოეწყო ახალი სანიაღვრე არხი სიგრძით 60 მეტრი, მიმდებარედ გვერდული შეივსო ქვიშა ხრეშოვანი მასით.

**თ) შენობა ნაგებობების გამრიცხველიანება (პროგრამული კოდი ( 02 02 07)** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა შენობა ნაგებობების ელექტროენერგიის ქსელზე დაერთება, ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელზე დაერთება.
**შუალედური შედეგი** გამრიცხველიანებული შენობა ნაგებობები.

**ი) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება, გამაგრება (პროგრამული კოდი 02 03 01)** ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 849,9 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 806,5 ათასი ლარი ანუ გეგმის - 94,9 %. ქვეპორგრამის ფარგლებში განხორციელდა:
დაბა ადიგენში ყოფილი საგზაო სამართველოს ადმინისტრაციული შენობის სადემონტაჟო სამუშაოები – მოხდა არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, რომლის საერთო ფართი შეადგენდა 470.0 კვ.მ, ვარგისი მასალები გადაირჩა და დასაწყობდა;
სოფელ არალის კულტურის სახლში განთავსებული სოფელ არლის ადმინისტრაციის ოფისის რეაბილიტაციის სამუშაოები - მოხდა არსებული შენობის კედლების, ჭერის, იატაკის რეაბილიტაცია. შეიცვალა კარ-ფანჯრები. მოეწყო ახალი ელ.გაყვანილობა და მონტაჟდა კონდიციონერები.
დაბა ადიგენში თორნიკე ერისთავის ქუჩა N20-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებულ შენობაში გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში აშენდა ახალი საქვბის შენობა, დამონტაჟდა გათბობის ქვაბი, მოეწყო ახალი მილგაყვანილობა გათბობისათვის, დამონტაჟდა ახალი გათბობის რადიატორები.
სოფ. ციხისუბნის რიტუალების სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები- პროექტის ფარგლებში მოხდა არსებული შენობის გარე კედლებზე დარჩენილი ღიობის შევსება ბლოკებით, მოეწყო ახალი მ/პლასტმასის კარები და ფანჯრები. საყრდენი ლითონის ბოძის დგარები შეიღება საღებავით.
დაბა ადიგენში ვაჟა ფშაველას N5-ში არსებული შენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მოხდა მერიის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის (ოთახის) რეაბილიტაცია შეიღება კედლები, მოეწყი იატაკი, დამონტაჟდა ახალი ელექტოგაყვანილობა.
სოფელ უდის კულტურის სახლში განთავსებული სოფელ უდის ადმინისტრაციის ოფისის რეაბილიტაციის სამუშაოები - მოხდა არსებული შენობის კედლების, ჭერის, იატაკის, კიბის რეაბილიტაცია. შეიცვალა კარ-ფანჯრები. მოეწყო ახალი ელ.გაყვანილობა დამონტაჟდა კონდიციონერები.
დ. ადიგენში ბალახაშვილის ქუჩა N19-ში მდებარე II ადმინისტრაციულ შენობაში სამხატვრო სკოლის ოთახების რეაბილიტაციის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში მოხდა არსებული ფართის კედლების, ჭერის. იატაკების რეაბილიტაცია, შეიცვალა შესასვლელი კარებები, დამონტაჟდა კონდიციონერები.
მერიის ბალანსზე არსებული მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის ოთახების სარემონტო სამუშაოები

აბა ადიგენში ა(ა)იპ ადიგენის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის, ა (ა) .ი.პ. ადიგენის წყალმომარაგების სამსახურის და დაბა ადიგენის საბავშვო ბაღის შენობის ცენტრალური გათბობის (ქვაბის) სისტემის სამონტაჟო სამუშაოები.

სოფელ ბოლაჯურში ფოლკლორულ-ქორეოგრაფიული სტუდიის, სპორტული დარბაზისა და მერის წარმომადგენლის ოთახის მშენებლობის სამუშაოები- პროექტის ფარგლებში აშენდა ახალი თანამედროვე სტანდარტების შენობა, რომელშიც განთავსდა საცეკვაო დარბაზი საჭიდაო დარბაზი, მერის წარმომადგენელის ოფისი. სენობაში დამონტაჟდა ახალი საქვაბე, მოეწყწო გათბობის სისტემები და მოეწყო თანამედროვე ტიპის led განათებები.

დაბა ადიგენში ბალახაშვილის ქუჩა N19-ში მდებარე II ადმინისტრაციულ შენობაში სამხატრო სკოლის სველი წერტილების, კანალიზაციისა და წყალმომარაგების სამუშაოები.

სოფელ არალის ადმინისტრაციული ერთეულის შენობისათვის ფანჯრების შესყიდვა თანმდევი მონტაჟით.

დაბა ადიგენში თორნიკე ერისთავის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საქვაბის შენობის დემონტაჟის სამუშაოები პროექტის ფარგლებში მოხდა  დაბა ადიგენში, თორნიკე ერისთავის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საქვაბის შენობის დემონტაჟი საერთო ფართით 175.0 კვ.მ ვარგისი მასალების გადირჩა და დასაწყობდა.

დაბა ადიგენში არტემ ბალახაშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სატყეო მეურნეობის შენობის დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვა - პროექტის ფარგლებში მოხდა  დაბა ადიგენში, არტემ ბალახაშვილის ქუჩაზე მდებარეყოფილი სატყეო მეურნეობის შენობის დემონტაჟი საერთო ფართით 470 კვ.მ ვარგისი მასალების გადირჩა და დასაწყობდა.

სოფელ ლელოვანში რიტუალების სახლის მიმდებარედ არსებულ შენობაში ცეკვის დარბაზის მოწყობის სამუშაოები - პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლელოვანში რიტუალების სახლის მიმდებარედ არსებულ შენობაში ფართის ნაწილს, შეილესა და შეიღება კედლები. მოეწყო ახალი ჭერი, ახალი იატაკი, დამონტაჟდა ახალი კარ-ფანჯრები, შეიცვალა ელექტროგაყვანილობა.

დაბა აბასთუმანში რუსთაველის N64-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში და რუსთაველის ქN33-ში მდებარე მუსიკალური სკოლის ოთახებში ლამინირებული პარკეტის იატაკის მოწყობის სამუშაოები- პროექტის ფარგლებში დაბა აბასთუმანში რუსთაველის ქუჩა N 64-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ოთახებში მოეწყო ლამინირებული პარკეტის იატაკი 108 კვ.მ ხოლო რუსთაველის ქუჩა N33-ში მდებარე მუსიკალური სკოლის ოთახებში კედლებზე მოეწყო ნესტგამძლე თაბაშირმუყაოს ფილები, რომელიც დაიფითხა და შეიღება საღებავით, შეიცვალა კარებები და მოეწყო ლამინირებული პარკეტის იატაკი 91 კვ.მ

| საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბოლოოშედეგი (OUTCOME) | 2023 საბაზისო მაჩვენებიელი | 2024 დაგეგმილი მაჩვენებელი | 2024 მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილება | ცდომილების განმარტება |
| რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა | 15 | 11 | 11 | 0 | |

**კ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და  სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი (02 03 02)** ქვეპროგრამის გეგმა გათვალისწინებული იყო 612,1 ათასი ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 484,6 ათასი ლარი ანუ გეგმის - 79,2 %. ქვეპორგრამის ფარგლებში განხორციელდა: ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა. აგრეთვე საკადასტრო აზომვითი ნახაზემის მომზადების დაფინანსება და

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების ხარჯის დაფინანსება.

**შუალედური შედეგი** დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის მზა საპროექტო დოკუმენტაცია

